



# საინფორმაციო ბიულეტენი

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

### DRI -ის საქმიანობა ოქტომბერში

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ოქტომბერში დაიწყო პროექტი „გზა ევროპისკენ - შესაძლებლობა საქართველოსთვის“, რომლის ფარგლებშიც DRI გეგმავს ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების ხელშეწყობას და შეფასებას ადვოკატირებისა და მონიტორინგის გზით.

პროექტის ფარგლებში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი:

- მოამზადებს და პარლამენტარებს გაუზიარებს რეკომენდაციებს ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად
- ზედამხედველობას გაუწევს 12 პუნქტიანი გეგმის შესრულებას
- მოამზადებს მონიტორინგის ანგარიშს
- მიმდინარე პროცესების შესახებ საერთაშორისო პარტნიორებს და საზოგადოებას მიაწოდებს ინფორმაციას.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDC), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ემყარება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (CSSIGE 2017-2020) განხორციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

### DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- კოალიცია მოსამართლეთა XXXI კონფერენციას ეხმარება

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

### DRI-ის რეკომენდაციები უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად რეკომენდაციებით მიმართა.

DRI-ის რეკომენდაციაა გაუქმდეს ნდობის ჯგუფი და მისი უფლებამოსილებები გადაეცეს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს.

ნდობის ჯგუფის გაუქმებამდე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციებია:

- ნდობის ჯგუფის ანგარიშვალდებულების და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში აისახოს ნდობის ჯგუფის ვალდებულება, საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად ან წელიწადში ორჯერ წარუდგინოს ნდობის ჯგუფის საქმიანობის ანგარიში.
- რეგლამენტის ჩანაწერს, რომელიც ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებას განსაზღვრავს, დაემატოს ჩანაწერი, რაც ნდობის ჯგუფის წევრის დასახელების უფლებას მისცემს არა მხოლოდ ერთ ოპოზიციურ ფრაქციას, არამედ საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალ პოლიტიკური ჯგუფებს/ფრაქციას/ფრაქციებს.
- ნდობის ჯგუფის სხდომები გაიმართოს სულ მცირე თვეში ერთხელ, რომლის მოწვევის უფლებით ისარგებლებს ნდობის ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რაც საპარლამენტო ოპოზიციას მისცემს შესაძლებლობას, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობა მმართველი პარტიისგან დამოუკიდებლად განახორციელოს.
- რეგლამენტის დღეს მოქმედი რედაქცია, ნდობის ჯგუფის წევრებს არ აძლევს შესაძლებლობას ანგარიშვალდებულ უწყებებში ვიზიტი დაწესებულების ხელმძღვანელის ინფორმირების გარეშე განახორციელონ. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, აღნიშნული ჩანაწერი სასახურეს აძლევს შესაძლებლობას, ვიზიტისთვის „სათანადოდ მოემზადოს“. ნდობის ჯგუფის ვიზიტები შესაბამის უწყებებში უნდა განხორციელდეს უწყებების წინასწარი ინფორმირების გარეშე.
- ნდობის ჯგუფის წევრებისთვის შესაბამის უწყებებს მხოლოდ ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე შეეძლოთ უარის თქმა, რომელიც მათი საქმიანობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებს ეხება.